მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

მოქალაქის გზამკვლევი

2024 წელი

შინაარსი

შესავალი 3

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 3

ბიუჯეტის შემოსულობები 3

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 5

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 7

ინფრასტრუქტურის განვითარება 9

დასუფთავება და გარემოს დაცვა 11

განათლება 12

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 14

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 17

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 21

შესავალი

ბიუჯეტის ანგარიშის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ შედეგებს, განხორციელებულ აქტივობებს სძენს მეტ საჯაროობას.

ბიუჯეტის ანგარიშის გზამკვლევი მოიცავს ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის ანგარიშის პროექტი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი იყო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2023 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

გზამკვლევში მოყვანილი 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით არსებულ მონაცემებს.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2021-2023 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #1



მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

გრაფიკი #2



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 36,3 მლნ ლარი (გრაფიკი #3).

გრაფიკი #3



გრაფიკებში #4-#5 მოცემულია 2021-2023 წლებში მესტიის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #6 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2021-2023 წლები).

გრაფიკი #4



გრაფიკი #5



გრაფიკი #6



მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტმა შეადგინა 6,867.8 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 18,9 %-ს შეადგენს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #7-ზე.

გრაფიკი #7



2023 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან დაფინანსდა შემდეგი ხარჯები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**6,867.8**
საკრებულო	1,427.1
მერია	4,964.6
წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების დაფარვა	359.5
ქვეყნის თავდაცვისუანრიანობის ამაღლების ხელშეწყობა	116.6

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #8-ზე.

გრაფიკი #8



ინფრასტრუქტურის განვითარება

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 67% დაიხარჯა ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 13,193.0 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #9-ზე.

გრაფიკი #9



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება	**საკუთარი სახსრები**
საგზაო ინფრასტრუქტურა	**8,662.7**
წყლის სისტემები	**757.9**
გარე განათება	**373.5**
კეთილმოწყობა	**3,296.5**
საპროექტო დოკუმენტაცია და ზედამხედველობა	**1,272.9**
სანიაღვრე არხები და ჯებირები	**3,007.8**
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	**2,095.2**
ახალგაზრდული თვითმართბელობა	**240.4**

<u>გრაფიკი #10</u>



<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u> პროგრამა - 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მოხდა დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ

2023 წელს დაიწყო:

- იფარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ზეგანის საავტომობილო გზის მშენებლობა;
- ლატალის ადმინისტრაციულ ერთეულში ლახუშდის საავტომობილო გზის მშენებლობა;
- მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში არცხელის გზის და ხიდის მშენებლობა;
- სოფელ ჭუბერში ყარსგურიშის 7,4 კმ საავტომობილო გზის მშენებლობა;

გაგრძელდა წინა წლებში დაწყებული სამშენებლო სამუშაოები:

- ფარის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობა;
- დამთავრდა იდლიანის ცენტრთან დამაკავშირებელი დაკიდული ხიდის მშენებლობა;
- შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

წყლის სისტემების განვითარების პროგრამა -

- 2023 წელს დამთავრდა სოფელ ადიშში წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა;
- მიმდინარეობს ლენჯერში, ნესგუნისა და ლემსიის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა;

კეთილმოწყობის ღონისძიებები - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს განხორციელდა:

- იფარის საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- ცხუმარის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების დელეგირების“ პროგრამის ფარგლებში დამთავრდა ლენჯერის მეორე სკოლის სველი წერტილების მშენებლობა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 4 %-ი დაიხარჯა დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 777.1 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #11-ზე.

გრაფიკი #11



<u>დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამა</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- კონტეინერების განთავსება საჭირო ადგილებში, მათი ნაგვისგან დაცლა გრაფიკისა და საჭიროების მიხედვით;
- დაბა მესტიაში ქუჩების დაგვა/დასუფთავება, ცენტრალური გზის პირებზე (უშგული-მესტია და მესტია ჯვარის ცენტრალური გზა ჩანჩქერამდე) ნარჩენების შეგროვება და გატანა.
- ზაფხულში დაბა მესტიის შიდა გზებზე ქუჩების რეცხვა/მტვრისგან განთავისუფლება.
- ზამთრის პერიოდში ამავე შიდა გზების თოვლისგან გაწმენდა.

განათლება

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 10 %-ი დაიხარჯა განათლების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 3,633.2 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #13-ზე.

<u>გრაფიკი #13</u>



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება - 2023 წელი (ათასი ლარი)

სკოლამდელი დაწესებულებების მიმდინარე დაფინანსება	**1,862.3**
საჯარო სკოლების მოწყობა რეაბილიტაცია	**1,770.9**

სკოლამდელი განათლების - პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში:

- 24 საბავშვო ბაღის მომსახურებით ისარგებლა 444 ბავშვმა;

საჯარო სკოლების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში დაფინანსდა:

- მოსწავლეების ტრანსპორტირება;
- საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა.

გრაფიკი #14



კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 6.1 %-ი დაიხარჯა კულტურა, ახალგაზრდული და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1 188.9 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #15-ზე.

გრაფიკი #15



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	ათასი ლარი
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1045.7
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1269.0
ახალგაზრდობის მხარდაჭერა	430.1
ააიპ შან-ლანდ	379.2

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის კულტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე. ამ პროგრამების ჯამური დაფინანსება მთლიანი პრიორიტეტის 74 %-ია.

<u>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი;
- აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების დაფინანსება

<u>კულტურის განვითარების ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მესტიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკები, რომლის ორგანიზებით 2023 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დედაენის დღე;
- წიგნის საერთაშორისო დღე;
- ვაჟა ფშაველას საღამო;
- შემოდგომის პალიტრა;
- მთის პოეზია;
- ლიტერატორული შემოდგომა;
- საგანმანათლებლო საღამო“ მთაში ნაბადი გენია“.

<u>მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით</u> 2023 წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: 3 მარტი დედის დღე, 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე , ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, სვანეთობა, ფესტივალი მთის ფილმები, ახალი წელის ღონიძიებები.

<u>მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ</u>

- **დაპროექტდა:** მულახის თემი, სოფ ცალდაში გოჩა ნავერიანის კოშკის რესტავრაციის პროექტი; მულახის თემი, სოფ ცალდაში გოჩა ნავერიანის მაჩუბის რესტავრაციის პროექტი, მულახის თემი, სოფ ცალდაში გოჩა ნავერიანის სახლის და ლალჩის რესტავრაციის პროექტი, მულახის თემი, სოფ ჭოლაში ჟორჟოლიანების კომპლექსის რესტავრაციის პროექტი, სოფ აცი-გოჩა კვებლიანის კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ აცი-ჯემალ ხორგუანის კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ იელი ევგენი ფანგანის კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ იელი ვაში ხვიბლიანის კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ ნაკრა ფუსდის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი, სოფ ნესგუნი-გიორგი გულედანის კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ ლახუშდი მურადი ფირცხელანის კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ ლახუშდი ბესიკ ფირცხელანის კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ ლახუშდი გიორგი ასუმბანის კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ ლატალი წერედიანების კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ ზურაბი ფარჯიანის კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ ლატალი გირგვლიანების კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ მულახი გიგანების კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ დაუბერი დადვანების კოშკის რესტავრაციის პროექტი, სოფ დაუბერი ლამარიას კოშკის რესტავრაციის პროექტი.
- **გაეწია მონიტორინგი სარესტავრაციო საკონსერვაციო სამუშაოებს შემდეგ ობიექტებზე:** სოლის ნათლისმცემლის ეკლესია, სოფ წვირმი-როზია ფანგანის კოშკის რესტავრაცია, სოფ წვირმი-გიგლემიანების კოშკის რესტავრაცია, სოფ აცი-გია კვებლიანის კოშკის რესტავრაცია, სოფ სოლი-ჯიმშერ შუკვანის კოშკის რესტავრაცია, სოფ სოლი-გიახაფთანის კოშკის რესტავრაცია, სოფ სოლი-ხორგუანების კოშკის რესტავრაცია, სოფ ნესგუნი-ლაშა გულედანის კოშკის რესტავრაცია, სოფ ნესგუნი-მიშა გულედანის კოშკის რესტავრაცია, მულახი გოჩა ნავერიანის კოშკის და მაჩუბის რესტავრაცია.

<u>ახალგაზრდების მხარდაჭერა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- ყველა პირველკლურსელი, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგან ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში, 2023 წელს დაფინანსდა 72 სტუდენტი.
- სვანეთის მასშტაბით განხორციელდა სასწავლო- სამეცნიერო ექსპედიციები. რის შედეგადაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები;
- "ეტალონი" საქართველოს მასშტაბით ყველაზე პოპულარული, ინოვაციური საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი, რომელშიც ჩართულია მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლები.
- ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭედა;
- საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სადაც ჩართულია საქართველოს მასშტაბით 1600-ზე მეტი სკოლა;
- ,,გემოფესტი 2023" გასტრონომიული ფესტივალი, კალას ადმინისტრაციულ ერთეულში ,,ხალდეობა" დღესასწაულის აღნიშვნა.

გრაფიკი #16



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 4.1 %-ი დაიხარჯა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1,472.0 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. 2021-2023 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #17-ზე.

გრაფიკი #17



2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2023	ათასი ლარი
საზოგადოებრივი ჯანდაცვა	544.6
სოციალური უზრუნველყოფა	598.0
სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება	180.5
შშმ პირების ცენტრის თანადაფინანსება	98.7
ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა	50.2

<u>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება</u> - პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა (ვაქცინების მიწოდება ამცრელ დაწესებულებებში, ანგარიშგება, მონიტორინგი)
- ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა (ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სტრატეგიული შრატების და ვაქცინების მიწოდება , ანგარიშგება და მონიტორინგი შემსრულებელ დაწესებულებასთან.).

- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა (კომბინირებული ტესტების მიწოდება, ანგარიშგება, მონიტორინგი).
- ახალი კორონავირუსული დაავადების Covid 19 მართვის სახელმწიფო პროგრამა (ტესტების მიწოდება, ანგარიშგება, კონტაქტების მიდევნება)
- C ჰეპატიტის და აივ-ინფექცია/შიდსის მართვის პროგრამა (ტესტების მიწოდება, ანგარიშგება, დადებითი შედეგების მიდევნება)
- განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების მიდევნება.
- გადამდები და არაგადამდები დაავადებების მეთვალყურეობა (ტუბერკულოზი, B ჰეპატიტი, დიარა, ჰიპერტენზია და ა.შ.).

2023 წელს გამოვლინდა:

1. ტუბერკულიოზის საეჭვო შემთხვევა 16;
2. დადასტურებული შემთხვევა 1;
3. ლაიმის დაავადება-4;
4. ცეჰეპატიტი-1;
5. ლეპტოსპირობი -1;
6. ბრუცელიოზის საეჭვო შემთხვევა -3;
7. ჩუტყვავილი -4.

<u>სოციალური დაცვის პროგრამის</u> ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა:

- სოციალურად დაუცველის, შშმ. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის მქონე მარტოხელა ხანდაზმულების (საპენსიო ასაკის მქონე) დახმარება- 192 ბენეფიციარი;
- ონკოლოგიური ავადმყოფების და ფსიქიკურად დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 182 ბენეფიციარი;
- ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება/ დაფინანსების დახმარება - 56 ბენეფიციარი;
- მარჩენალდაკარგული ოჯახების (0-დან 18 წლის ასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 18 ბენეფიციარი;
- ხანდაზმულების (90 წელი და ზემოთ) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 49 ბენეფიციარი;
- ომის მონაწილე ვეტერანების და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 25 ბენფიციარი;
- ახალშობილების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 119 ბენეფიციარი;
- მრავალშვილიან (არასრულწლოვანი ხუთი შვილი და ზემოთ) ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 24 ბენეფიციარი;
- დიალიზით მოსარგებლე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 8 ბენეფიციარი;

- ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 21 ბენეფიციარი;
- მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 25 ბენეფიციარი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 4 ბენეფიციარი;
- გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა ოჯახებზე სარიტუალო მომსახურებისთვის, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება - 4 ბენეფიციარი;
- სოციალურად დაუცველის, შშმ. ან იძულებით გადაადგილებული– დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ერთჯერადი დაფინანსება/თანადაფინანსება - 364 ბენეფიციარი;
- მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) თანადაფინანსება- 107 ბენეფიციარი;
- სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის, შეფასების და თერაპიების (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, არტ. თერაპია და სხვა) დაფინანსება/თანადაფინანსება - 14 ბენეფიციარი;

<u>სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა -</u> პროგრამის ფარგლებში ფინანსდება:

- სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებულ ოჯახები. დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარება, სოციალური დახმარება გაიცემა საბჭოს წევრთა მიერ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ - 97 ბენეფიციარი.

<u>შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება -</u> პროგრამის ფარგლებში 2023 წლის პერიოდში:

- ორგანიზაცია ემსახურებოდა შინ მოვლის პროგრამით 35 ბენეფიციარს, დღის ცენტრში 9 ბენეფიციარი დაფიქსირდა.

<u>ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა -</u> 2023 წელს აღნიშნული პროგრამიდან :

- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარება გაეწია 109 (189 ბენეფიციარი) ოჯახს;
- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების, მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების შესაძენად დახმარება გაეწია 52 (94

ბენეფიციარზე) ოჯახს

- სიღატაკეში ან/და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით 1000 ლარიანი დახმარება გაეწია 22 ოჯახს;

გრაფიკი #18



ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2021-2023 წლების მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯა 58,533.2 ათასი ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #19-ზე და #20 გრაფიკებზე:

გრაფიკი #19



<u>გრაფიკი #20</u>



როგორც გრაფიკებიდან ჩანს მესტიის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 69 % (50.5 მლნ ლარი) კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო 3 წლის მიხედვით არის სუბსიდიების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 18.1 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 18 %).

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მესამე ბოლო 3 წლის მიხედვით არის საქონელი და მომსახურების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 14.6 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 15 %).

შემდეგ მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის შრომის ანაზღაურების მუხლი საიდანაც ბოლო 3 წლის მიხედვით ჯამში დაიხარჯა 7.2 მლნ ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 7 %-ია და ა.შ.

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #21-ზე.

გრაფიკი #21